

შპს ტრანზაქციული სისტემები

ფინანსური ინფორმაცია

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

შპს ტრანზაქციული სისტემები

ს ა რ ჩ ე ვ ი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	5
ფულადი სახრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-18

შპს ტრანზაქციული სისტემები

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2022 წლისათვის.

	შენიშვნა	2022	2021
ნეტო ამონაგები		8,008,772	9,377,251
საქონლის გაყიდვიდან		2,851,306	5,140,050
მომსახურების გაწევიდან		816,462	1,264,524
მომსახურება იჯარიდან		4,341,004	2,972,677
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3,284,457)	(3,726,750)
საერთო მოგება		4,724,315	5,650,501
დასაქმებულთა ანაზღაურება		(821,117)	(1,445,910)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,118,959)	(1,080,653)
საპროცენტო შემოსავალი:		6,271	16,001
საპროცენტო ხარჯი		(29,085)	
იჯარის ხარჯი		(92,120)	(99,469)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	6	(145,035)	(141,815)
სულ საოპერაციო ხარჯები		(3,200,045)	(2,751,846)
საოპერაციო მოგება		1,524,270	2,898,655
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		333,414	(20,780)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1,857,684	2,877,875
მოგების გადასახადი		(172,485)	(633,878)
მოგება/(ზარალი)		1,685,199	2,243,997
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		1,685,199	2,243,997

ირინე ბარკალაია

დირექტორი



შპს ტრანზაქციული სისტემები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	576,429	640,326	922,476
სავაჭრო მოთხოვნები		634,600	566,908	670,427
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		53,203	35,739	58,946
მარაგები		1,269,188	1,819,594	1,862,937
- მზა პროდუქცია		1,021,542	1,625,311	1,605,033
- სხვა		247,646	194,283	257,904
სხვა მიმდინარე აქტივები		14,990	14,364	10,600
სხვა არამატერიალური აქტივები	7	1,114,730	108,733	109,232
ძირითადი საშუალებები	7	3,638,755	2,969,440	2,073,911
სულ აქტივები		7,301,895	6,155,104	5,708,529
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		2,343,679	2,668,439	1,039,715
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		588	1,430	1,149
საგადასახადო ვალდებულებები		113,588	51,795	64,615
გამოუმუშავებელი შემოსავალი			218,457	46,552
მოკლევადიანი სესხი		891,660		
დარიცხული პროცენტები		29,085		
სხვა ვალდებულებები		118		
სულ ვალდებულებები		3,378,718	2,940,121	1,152,031
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		100	100	100
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		3,923,077	3,214,883	4,556,398
სულ საკუთარი კაპიტალი		3,923,077	3,214,883	4,556,498
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		7,301,895	6,155,104	5,708,529

ირინე ბარკალაია

დირექტორი



შპს ტრანზაქციული სისტემები

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლისათვის.

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	4,556,398	4,556,498
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება			-
ქონების გადაფასება			
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		2,243,997	2,243,997
განაწილებული დივიდენდი		(3,585,512)	(3,585,512)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	3,214,883	3,214,983
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(6119)	(6119)
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		1,685,199	1,685,199
განაწილებული დივიდენდი		(970,886)	(970,886)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	3,923,077	3,923,177

ირინე ბარკალაია

დირექტორი



შპს ტრანზაქციული სისტემები

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლისათვის.

	2022	2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(202,432)	5,247,671
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(6,608)	(2,123,585)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	145,143	(3,406,236)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(63,897)	(282,150)
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	640,326	922,476
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	576,429	640,326

ირინე ბარკალაია

დირექტორი



შპს ტრანზაქციული სისტემები

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ტრანზაქციული სისტემები (საიდენტიფიკაციო კოდი 404936343), შემდგომში კომპანია დაარსდა 2012 წლის 30 მარტს. კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია არარეზიდენტი კომპანია - Clauddy Software Limited.

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს პოს-ტერმინალების, ფულის სათვლელი - მასორტირებელი მანქანების, ფულის მახანდეროლებელი მოწყობილობების, სხვადასხვა ნაწილების იმპორტი და რეალიზაცია. ასევე პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების გაწევა, ტერმინალების, მასორტირებელი მანქანების გაწმენდა-შეკეთება. ტერმინალების იჯარით გაცემა.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, გიორგი გურამიშვილის შესახვევი N13ა, სართული 1.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ინფორმაციის მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომელთა მიმართ შედარებით მაღალი დონის განსჯის გამოყენებაა საჭირო, რთულია ან სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოითხოვს, გამჟღავნებულია მე-4 შენიშვნაში.

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია მთავარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ბიზნესგარემო ხასიათდება არა ერთი სტრუქტურული ნაკლოვანებებით. საქართველო არის პატარა, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა მაღალი დოლარიზაციის დონით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტითა და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე მზარდი დამოკიდებულებით. შედეგად, ქვეყნის ფინანსური სისტემა ხდება დაუცველი გლობალურ ეკონომიკურ და ფინანსურ ტენდენციებთან მიმართებაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

შპს ტრანზაქციული სისტემები

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე

სამუშაო ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

უცხოური ვალუტით გამოწვეული ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის სამუშაო ვალუტისგან (ლარი) განსხვავებული, უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილ არიან ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო	ბრიტანული ფუნტი	რუსული რუბლი 100
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2.7020	2.8844	3.2581	3.6770
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3.0976	3.5040	4.1737	4.1479
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	3.2766	4.0233	4.4529	4.4031

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავალისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად გამჟღავნებული არ არის კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები მაშინ აღიარდება, როდესაც ძალაში შევა ჯგუფის უფლება დივიდენდების მიღების შესახებ. იგი აისახება სხვა შემოსავალის მუხლში.

შპს ტრანზაქციული სისტემები

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ამონაგების აღიარება. საქონლის ან მომსახურების მიწოდების შედეგად წარმოშობილი შემოსავალი აღიარებულია შემოსავლებში შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გაცვლისას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

უცხოური ვალუტა. ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

გადასახადები

ა) მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით - „მოგების გადასახადი“- წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ბ) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავსიუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის

შპს ტრანზაქციული სისტემები

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

გ) საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით, საჭიროების შემთხვევაში.

ღირებულება გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	მომსახურების ვადები
შენობა-ნაგებობები	50 წელი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	3-15 წელი
იჯარით გაცემული ფისკ.ტერმინალები და სამ მოდულები	3 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	8 წელი
საოფისე ინვენტარი და ავეჯი	5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	8 წელი

ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების

შპს ტრანზაქციული სისტემები

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

არამატერიალური აქტივები	ამორტიზაციის პერიოდი
ლიცენზიები	4-20 წელი
სხვა არამატერიალური აქტივები	10 წელი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. კომპანიის მარაგებს შეადგენს საწვავი, პოს-ტერმინალები, ფულის სათვლელი - მასორტირებელი მანქანები, ფულის მახანდეროლებელი მოწყობილობები, სხვადასხვა ნაწილები.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

შპს ტრანზაქციული სისტემები

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ანარიცხის სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება, ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხის შეფასება ხდება მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ფულადი ნაკადების შეფასებით, მისი საბალანსო ღირებულებაა ამ ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება მესამე მხარისგან, მაშინ დებიტორული დავალიანება აღიარდება აქტივის სახით, როდესაც გარდაუვალია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია დებიტორული დავალიანების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

მე-3 შენიშვნაში აღწერილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში,

შპს ტრანზაქციული სისტემები

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

5. ამონაგები მომსახურებიდან

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს როგორც ვაჭრობა, ასევე მომსახურება და იჯარა. მისი შემოსავლები ძირითადად ფორმირდება რეალიზაციიდან, მომსახურებიდან და იჯარიდან მიღებული ღირებულებებით. 2022 წლის განმავლობაში კომპანიის ამონაგებმა შეადგინა 8008772,53 ლარი.

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2022	2021
ერთჯერადი მომსახ.პირები	658	290
ჯანმრთელობის დაზღვევა	10640	7778
საპენსიო სქემა- კომპანიის 2%	20107	31082
კომუნიკაციის ხარჯები	1258	1226
დაზღვევა	1308	1426
რემონტი	0	122
კომპიუტერის ხარჯები	1321	864
სხვა საგადასახადო ხარჯი	35371	29111
კომუნალური ხარჯი	16004	15100
თანამშრომლის კვალიფიკაციის ხარჯი	8617	6499
სერვერის მომსახურების ხარჯი	0	1906
საკომისიო	2553	2706
სხვა ხარჯი	3171	6750
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	18618	15162
სამეურნეო ხარჯი	1825	3142
ინტერნეტის ხარჯი	3106	2707
წარმომადგენლობითი ხარჯი	0	33
მივლინება ნორმატიულად გახარჯული	726	804
ავტოსატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	2703	0
საწვავის ხარჯი	10075	8332
ავტომობილის ხარჯი	221	205
მანქანის რეცხვის ხარჯი	0	59
საკანცელარიო ხარჯი	515	4021
საკონსულტაციო ხარჯი	2415	300
ძირ.საშუალების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	2194	2190
იურიდიული მომსახურების ხარჯი	1419	0
მგვ-რეციკლირების ხარჯი	210	0

სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

145035

141815

შპს ტრანზაქციული სისტემები

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

7. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით გაცემული ძირითადი საშუალებები	სხვა არამატერიალური აქტივები	ჯამი
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის	82465	34974	2497584	134453	2749476
მდგომარეობით					
მიღებულია საანგარიშო პერიოდში (2021)	27597		2364313	13904	2405814
დარიცხული ცვეთა გასული (2021)	43906	26863	1453868	39624	1564261
ნარჩენი ღირებულება (2021)	64592	8111	2896736	108733	3078172
წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის					464243
მდგომარეობით	108498	34974	4350604	148357	3
მიღებულია საანგარიშო პერიოდში (2022)	11979		2465337	1328256	3805572
დარიცხული ცვეთა გასული (2022)	55850	30360	3226392	361883	3674485
ნარჩენი ღირებულება (2022)	8735		11300		20035
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის	55892	4614	3578249	1114730	4753485
მდგომარეობით	111742	34974	6804641	1476613	8427970

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ლარი	31-12-22	31-12-21	31-12-20
ფულადი სახსრები ლარში	557008	600638	229462
ფულადი სახსრები დოლარში	18496	30783	680736
ფულადი სახსრები ევროში	830	8790	10093
ფულადი სახსრები ფუნტში	49	63	972
ფულადი სახსრები რუბლში	46	52	1212
სულ ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	576429	640326	922476

9. რისკების მართვა

ა) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი

შპს ტრანზაქციული სისტემები

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) რისკების მართვის სტრუქტურა

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვერელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშევა სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან და საინვესტიციო ქალაქებიდან.

საკრედიტო რისკის გავლენა

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ექვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

შპს ტრანზაქციული სისტემები

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ლარი	საბალანსო ღირებულება 31-12-22	საბალანსო ღირებულება 31-12-21
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	634,600	566,908
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	576,429	640,326
	1,211,029	1,207,234

კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის „კომპანიის“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე - სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე. ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკებში, რომელიც ასევე ამყარებს „კომპანიის“ ლიკვიდურობას.

ფინანსური ვალდებულებები	საბალანსო ღირებულება 31-12-22	საბალანსო ღირებულება 31-12-21
ლარი		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,378,718	2,940,121

ე) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ვ) კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, „კომპანია“ არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. „კომპანიის“ კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

შპს ტრანზაქციული სისტემები

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და ნაშთები.

კომპანიის დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს დამფუძნებელი კომპანია, ჯგუფის წევრები და მმართველობითი ხელმძღვანელობა.

ოპერაციები მმართველ რგოლთან		
ლარი	2022	2021
ხელფასი და ბონუსები	593,735	1,185,836

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბერი 2022

31 დეკემბერი 2021

ურთიერთობა	ტიპი	დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციულ	ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანი თანხა	დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციულ	ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანი თანხა
სავაჭრო ვალდებულებები		2174065	4830	187886	182713
Clauddy Software Limited	დამფუძნებელი	2174065		187886	
სავაჭრო ვალდებულებები		2595737	2250847	3638324	2420449
Bellatrix Development LTD	დაკავშირებული მხარე	2595737		3638324	
სავაჭრო ვალდებულებები		0	0	32763	0
Transaction systems Russia	დაკავშირებული მხარე	0		32763	

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობამ გამოსაცემად დაამტკიცა 2023 წლის 30 სექტემბერს.

Barclay

